ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4121013

ნომერი: AR1616094

თარიღი : 14.07.2018

გაცემის თარიღი : 15.08.2018

გაცნობის თარიღი : 15.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 33 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N33-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 14 ივლისს №AR1616094 განცხადებით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018

წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა N33 / ქ.თბილისი, ხევძმარის ქუჩა N33-ის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.11.17.001.195), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2018 წლის 12 ივლისის № 4065288 ბრძანებით კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 12.07.2018 წლიდან 12.10.2018 წლის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს საზაფხულო ფართობად 247.7 კვ.მ-ის ნაცვლად 266.5 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 475.1 კვ.მ-ის ნაცვლად 372.6 კვ.მ-ის, ავტოსადგომების ფართობად 342.2 კვ.მ-ის ნაცვლად 425.9 კვ.მ-ის დაფიქსირებას, რაც არ იწვევს საერთო ფართობის ცვლილებას. სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ: საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 266.5კვ.მ, დამხმარე ფართობად 372.6 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობად 425.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებით შეთანხმებული +0.000 და +5.500 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 14 ივლისის №AR1616094 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 26 ივნისის №4034648 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.